პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
ოთხშაბათი
28
ივლისი
№ 175
(16605)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ნობათეები საზოგადოებას

თბილისის მრეწველობის მუშაკთა წარმატებები

ქალაქ თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს და ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე განაღდებისათვის, 27 ივლისს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების შვიდი თვის გეგმა და იკისრეს ვალდებულება თვის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

გეგმის ვადამდე შესრულებაში თავი გამოიჩინეს: გაერთიანებების — „თბილისღვინოს“, შამპანური ღვინის წარმოების, „ელექტროაპარატის“; ფაბრიკების — № 3 ტრიკოტაჟის, ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო, „ნადიკვრისა“ და 1 მაისის სახელობის სამკერვალო, სამოდელო ფეხსაცმლის, ჩაის საწონი, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, ცხიმისა და კონიაკის კომბინატებისა და ქალაქის სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. (საქინფორმი).

გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ხუთწლედის ახალი ზღუდეების დასაპყრობად!

27 ივლისი

საქართველოს კომუნისტები, მშრომელები ინტერესით ეცნობიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დიდ ზრუნვას უპასუხებენ თავდადებული შემოქმედებითი შრომით, მთელ ენერგიას, ძალ-ღონეს მოახმარენ ხალხის, სამშობლოს კეთილდღეობას

რესპუბლიკის მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მასალებს. **ხერათზე:** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მონაწილე, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ზეინკალი ტ. როსტიაშვილი (მარცხნიდან მეორე) ამ ფორუმზე მიღებული შეთბეჭდილებების შესახებ ესაუბრება საწარმოს მოწინავე მუშებს, ზეინკლებს გ. კუპატაძეს, გ. ჯიკაევსა და ხარატს მ. ოვსეპიანს. ს. ᲐᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ და ბ. ᲑᲝᲒᲝᲜᲘᲫᲘᲡ ფოტო.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲬᲘᲜᲓᲐᲠᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილება საერთო-პარტიული მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც შემდგომი მუშაობის ვრცელ პროგრამას გვისახავს. ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვას მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმი.

ჩვენ, ძველ ბოლშევიკებს, ყველა მშრომელთან ერთად გვახარებს რესპუბლიკის ღირსების აღდგენა, მუშაობაში ლენინური ნორმების დამკვიდრება, კადრების ლენინური პოლიტიკის განუხრელი გატარება, უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის. ეს დადგენილება ნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მხრივ ჩვენი რესპუბლიკის ახალი პარტიული ხელმძღვანელობის კურსისა და მთელი საქმიანობის მხარდაჭერასა და დიდ დახმარებას.

მე, როგორც პარტიის ვეტერანი, ვმონაწილეობდი პლენუმის მუშაობაში, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებები პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების არსებითი გაუქმობესების, იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული შეკავშირების, პარტიული ორგანიზაციების მასებთან კავშირის განმტკიცების შედეგია.

მიზანდასახულად რომ მუშაობს კომუნისტური აღზრდის, იდეოლოგიური მოღვაწეობის დარგში, საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მასების დიდ ორგანიზატორად და ავანგარდულ ძალად გვევლინება.

დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობას მაღალ შეფასებას აძლევს, ამავე დროს სახავს სწორ ორიენტირს მომავალი მუშაობისათვის. დადგენილების დასკვნები უაღრესად აქტუალურია და გვავალებს დაუცხრომლად ვზრდიდეთ თვითეული კომუნისტის ბრძოლისუნარიანობას, ვებრძოდეთ ბიუროკრატიზმის, უდისციპლინობის, უპასუხისმგებლობის, მშრომელთა საჭიროებებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ყოველგვარ გამოვლინებას.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე ითქვა, ღრმად უნდა გავიაზროთ და პრაქტიკაში დავნერგოთ პარტიული მუშაობის ისეთი ფორმები და მეთოდები, რომლებიც მთლიანად შეესაბამება სკკპ XV ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიულ მუშაობაში უნდა გამოვიჩინოთ ნოვატორობა ამ სიტყვის ლენინური გაგებით.

ახლა ყოველი პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ვალია ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა უთუო შესრულება. კიდევ უფრო უნდა ვამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობის დონე, მთელი იდეოლოგიური მუშაობა, როგორც ამას მოითხოვენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება, პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებები.

ეს იქნება ჩვენი წარმატების საწინდარი.

დ. ᲚᲝᲛᲐᲫᲔ,
სკკპ წევრი 1917 წლიდან.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ — ᲛᲣᲚᲐᲛ ᲬᲘᲜᲐ ᲮᲐᲖᲖᲔ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა ეს-ეს არის მუშაობა დაამთავრა... ახლა თვითეული ჩვენგანი გულდასმით ეცნობა ამის თაობაზე პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს და კიდევ უფრო ღრმად შეიგრძნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილების მთელ შინაარსს, მის დიდ მნიშვნელობას, მისი სტრიქონების ქეშმარიტ სიობოს და მომავლისათვის კიდევ უფრო უკეთ მუშაობის ბრძნულ რჩევებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა უფრო ღრმად ჩაგვაზედა საქმეში და თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს, რა უბანზეც უნდა ემოღვაწეობდეთ, გვიჩვენა ის კონკრეტული საქმეები, რითაც დიდ პარტიულ ზრუნვას უნდა ეუპასუხოთ. ახლა ყველა საამქროში, უბანში ეაწყობთ პლენუმის მასალების ფართო პროპაგანდას, მის დაწვრილებითს ახსნა-განმარტებას.

ამას წინათ ქარხნის პარტიული ორგანიზაციის დიდ კრებაზე გულდასმით განვიხილეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილებიდან გამომდინარე ჩვენი ამოცანები, მაგრამ ახლა ამ ამოცანებს კიდევ უფრო დაკონკრეტება სჭირდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მასალების მიხედვით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მომავლისათვის უფრო ინიციატივიან, უფრო ენერგიულ მუშაობას მოითხოვს. რა თქმა უნდა, ყველგან და ყველაფერში მტკიცე წესრიგი რომ დავამყაროთ, მავნე წეს-ჩვეულებები, ნეგატიური მოვლენები ძირფესვიანად რომ აღმოფხვრას და საერთოდ, მატერიალური სიკეთე რომ დიდად გაეამრავლოთ, საჭიროა მტკიცე დისციპლინა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია“ — რუსთაველთა ეს შესანიშნავი ინიციატივა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ იშვა, ჩვენს საწარმოში აიტაცეს და პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი საბრუნავი გახდა.

დიახ, დისციპლინა ჩვენ ახლა განსაკუთრებით და ყველაფერში გვჭირდება. ეს არის ნომენკლატურული გეგმის შესრულება თუ ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვა, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ზრუნვა თუ მომარაგების საკითხის გადაჭრა. დისციპლინა და თვითდისციპლინა, კონტროლი და თვითკონტროლი გვჭირდება როგორც წყალი და ჰაერი საზოგადოებაშიც, ოჯახშიც, საწარმოშიც, ადამიანთა, განსაკუთრებით მომავალი თაობის აღზრდის დიდსა და რთულ საქმეში.

როგორც მესამე პლენუმმა მოგვიწოდა, კიდევ უფრო უნდა დაეხვეწოთ, სრულყოთ ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკური საქმიანობის სტილი და მეთოდები, გავაძლიეროთ პარტიული გავლენა ყველა უბანზე, რომ სწორედ მუშური სინდისით, სწორედ მუშური გარანტიით უზრუნველყოთ ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმებისა და დამატებით ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების — 100 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქციის წარმოებან და 100 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქციის რეალიზაცია.

კომუნისტები მუდამ წინა ხაზზე იქნებიან!

გ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ,
თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲐ — ᲔᲠᲗ ᲪᲕᲚᲐᲨᲘ

ᲐᲡᲐᲗᲘᲐ ᲔᲜᲔᲒᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲜᲝᲛᲒᲐᲢᲠᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲙᲙᲠ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲘ Ш. ᲐᲑᲐᲙᲔᲚᲘᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ

ᲔᲜᲔᲒᲠᲘᲔᲡᲘᲡ თვითეული მმენებლისათვის სასიხარულო და საამაყოა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დიდი შეფასება მისცეს ჩვენს ახლახდელ საქმიანობას. უკანასკნელ ხანს ენგურზე მართლაც მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ისტორიული დადგენილებით გამოწვეული ახალი შრომითი ენთუზიაზმი უკეთესი წარმატების იმედს გვაძლევს.

ჩვენი კოლექტივების შრომა ყველგან, ყველა უბანზე ახლა ჭეშმარიტად დამკვრელურია. მმენებელთა მისწრაფება ერთია — არ გატეხონ მიცემული პირობა და ობიექტის მშენებლობა დაამთავრონ. ჩვენი ბრიგადა ამ ვალდებულების შესრულებისათვის გაშლილი შეჯიბრების ავანგარდშია.

გვირაბგამყვანთა ბრიგადა, რომელსაც მეეხელმძღვანელობს, გვირაბის გაყვანის ფაქტიურად მორრა და ჩვენ, როგორც ყოველთვის, ახლაც იმ უბანს შევაშურეთ, სადაც ყველაზე საშური საქმეა. მიწისქვეშა ელექტროსადგურის მშენებლობაზე № 1 ჰიდროაგრეგატის სამონტაჟო ადგილის მომზადება მეტად რთულ ობიექტად ითვლება. მაგრამ ჩვენ მას დამკვრელურად შევუტიეთ და, ეფიქრობთ, იგი ერთი თვით ადრე, სექტემბერში ჩავაბაროთ. შვიდი თვის გეგმა უკვე შეესრულეთ. შრომითი დისციპლინის. პასუხისმგებლობის კარგ მაგალითს იძლევიან გვირაბგამყვანები გ. დგებუაძე, ს. სოსელია, კ. გრიგორჩუკი, ი. რიაპოვი, ჯ. აბაკელია, ვ. სავინი, ფ. ლუტი, გ. და შ. ქობალიები, ი. ჩანკვეტაძე, რ. შონია.

ჩვენი ბრიგადა ენგურზე პირველი გამოეხმაურა რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობას და მშენებელთა კოლექტივების მოუწოდა გამალონ შეჯიბრება სანიმუშო დისციპლინისათვის, მაღალი პასუხისმგებლობისათვის და ვალდებულება იკისრა ყოველ ცვლაში ცვლანახევრის დავალება გაანაღდოს, ამასთან სამუშაოები მხოლოდ მაღალხარისხოვნად შეასრულოს.

Ш. ᲐᲑᲐᲙᲔᲚᲘᲐ,
ენგურჰესის მშენებლობის გვირაბგამყვანთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲓᲔᲡ

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ახლა ისეთი ცხარე დღეები გვაქვს, რომ ზშირად წყლის დასალევადაც ვერ ვიცლით. მაგრამ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რესპუბლიკის მაჯისცემით ყოველთვის დაინტერესებული ვართ, გვინდა საქმის კურსში ვიყოთ. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ მიიღო დიდმნიშვნელოვანი დადგენილება — თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. ამ დადგენილების შესახებ ჩვენი კოლმეურნეობის კომუნისტებმა გულდასმით ვიმსჯელეთ, მოვიწონეთ და სამოქმედო გეგმაც შევადგინეთ. მაგრამ მთავარი სიტყვა როდია, მას საქმეც უნდა ამშვენებდეს.

საქართველოსათვის, მისი ეკონომიკის ძლიერებისათვის ამ ისტორიულ დადგენილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე პირუთვნელად ითქვა ის, რასაც ამ ბოლო წლებში მივაღწიეთ და ისიც, თუ რა გვაქვს გასაკეთებელი. სწორედ ეს არის წინსვლის ნამდვილი, სწორი გზა. გზა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აირჩია ნამდვილად სწორუპოვარი და გამარჯვების გზა არის. ამის საწინდარია თუნდაც ის, რომ რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს ყოველდღიურად საქმის კურსში აყენებენ, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ მთლიანად დავძლიოთ ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს მუშაობაში.

ჩვენი მექანიზატორები, ბრიგადის ყველა მშრომელი დღეგაადგ იმაზე ეფიქრობთ და ვზრუნავთ, რომ ჩვენი პირადი საქმით დამაჯერებელი წვლილი შეეტანოთ საქართველოს სოფლის მშრომელთა წარმატებებში, ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმების შესრულებაში. კარგა ხანია პურს ვმკით მირაქში. უამინდობამ ალოობა გაგვიხანგრძლივა, ყანაც ზოგან ჩაწოლილია, მაგრამ ამას როდი ვეპუებით. ჩვენი კომბაინერების გულმოდგინებით მარილაც არცერთი თავთავი არა რჩება მინდვრად.

ბრიგადის ყველა კომბაინერი დღიურ დავალებას დიდი გადამეტებით ასრულებს, ჰექტარზე 40-43 ცენტნერ მარცვალს ვიღებთ, ნამკლს ვზვინავთ, ნაწვერალზე სასიღოსე სიმინდს ვთესავთ. მზით გარუჯული ბიჭები მარტო სიტყვას როდი სჯერდებიან, ყოველდღიურად ისე ბრძოლობენ, რომ ჩვენი ალოობა მალე დავამთავროთ, რომ კოლმეურნეობის ეკონომიური ძლიერების ციფრები ს

ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲘᲪᲓᲘᲡ, ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲝ!

ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ

ᲡᲣᲚᲘᲙᲝ ᲡᲣᲚᲢᲘᲫᲔᲛ ზემო ქედის კოლმეურნეობაში პურეულის 11 ჰექტარი მოსავალი აიღო 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 42 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობაში ორ ცვლად იმუშავა და პურეულის 15 ჰექტარი მოსავალი მოძკა, ჰექტარზე საშუალოდ 44 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲞᲐᲞᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ კოდის საბჭოთა მეურნეობაში პურეულის 9 ჰექტარი მოსავალი აიღო 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 36 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘ

ᲑᲐᲫᲘᲙᲝ ᲛᲐᲠᲣᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ მარტყოფის საბჭოთა მეურნეობაში პურეულის 11 ჰექტარი მოსავალი მომკა და ჰექტარზე საშუალოდ 29 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ წერეთლის საბჭოთა მეურნეობაში პურეულის 10 ჰექტარი მოსავალი აიღო, და ამით დღიურ ნორმას 2 ჰექტარით გადაკაბდა, ჰექტარზე საშუალოდ 32 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ

ᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲮᲜᲘᲪᲙᲘᲡ დიდმაწ საბჭოთა მეურნეობაში პურეულის 10 ჰექტარი მოსავალი მომკა 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 24 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲮᲣᲑᲣᲚᲝᲛᲯᲐ არცევის საბჭოთა მეურნეობაში თვითთავიანი მარცვლეული კულტურების 7 ჰექტარი მოსავალი მომკა და ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ᲓᲦᲘᲡᲘᲗ, ᲦᲐᲛᲘᲗ

ᲕᲚᲔᲒᲔᲜᲘᲔᲚ ჰირველ ამინდს მცხეთელმა მხვნელ-მთესველებმა ბეჯითი შრომა დაუპირისპირეს. შედეგიც კარგი: ყველგან პურეულის თავთავები დამძიმებულია. მოსავლისაც სწრაფად, უდანაკარგოდ ღებენ და ბინავებენ. გუშინდელი დღის ჩათვლით მომკილია 1.000 ჰექტარზე მეტი და ჰექტარზე საშუალოდ 22.9 ცენტნერი მარცვალია გალეწილი.

— ამ დღეებში ყველგან მასობრივად დაიწყო ხორცილის მკა და მოსალოდნელია ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი მარცვალი გალეწოს. — თქვა საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბარისაშვილმა. პურეული დროზე და უდანაკარგოდ რომ ავიღოთ, ამისათვის გადაწყვეტეთ კომბაინები დამზადებაც ვამუშაოთ. 30 კომბაინიდან 15 კომბაინი დღისით და ღამით ღებებს მოსავლს, ამან დაჩქარა პურეული მოსავლის აღება-დაბინავება.

წლეულს ყველაზე მეტ პურეულს იღებენ ძალისის საბჭოთა მეურნეობაში. აქ ჰექტარზე საშუალოდ 27 ცენტნერი მარცვალი აღებულა. შედარებით კარგი მოსავალია ნიბისის, საგურამოს, მუხრანის, დიღმის საბჭოთა მეურნეობებში.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვა. მცხეთის პურპროდუქტების ბაზას უკვე ჩაბარდა 900 ცენტნერზე მეტი ხარისხოვანი მარცვალი. რაიონის მეურნეობებმა გადაწყვეტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 30.000 ცენტნერი მარცვლეული ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 12.300 ცენტნერისა.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებასთან ერთად ორგანიზებულად ხდება ნამჯის აღება-დაზვინვა, ნაწყვეტრალზე ხვნა და თესვა. ეს სამუშაო შეუფერხებლად მიმდინარეობს ძალისის, მუხრანის, საგურამოს და სხვა საბჭოთა მეურნეობებში.

საკვებმომზადებები მთელი ძალღონით მუშაობენ იმისათვის, რომ პირუტყვისათვის მოიმარაგონ წლინახევრის საკვები. წლეულს ვალდებულებით რაიონში 9080 ტონა სენაჟი უნდა დაამზადონ, ფაქტიურად უკვე დაამზადეს 10 ათასი ტონა, ახლა ვალდებულებაც გადამეტებით. ყოველდღე ტონობით სენაჟს ამზადებენ.

პურეულის მოსავალი 12 სამუშაო დღეში ავიღოთ. არცერთი თავთავი მინდვრად, არცერთი მარცვალი ნამჯაში, სახელმწიფოს მივყიდოთ მაღალხარისხოვანი მარცვალი. პირუტყვს დავუზადოთ წლინახევრის საკვები! — ასეთია მცხეთელთა პირობა.

Შ. ᲯᲝᲯᲣᲐ.

ᲒᲣᲜᲔᲒᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲗᲐ ᲡᲘᲛᲞᲝᲖᲘᲣᲛᲘ

ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲗᲐ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც 19 ივლისს სოჭში გაიხსნა, შემდეგ მუშაობა განაგრძო სოხუმში და დასრულდა 25 ივლისს თბილისში, განხილული იყო ხმელეთთა ზღვის ტალღების ურთიერთობის დინამიკის შესწავლის აქტუალური საკითხები.

სიმპოზიუმი მოაწყო საერთაშორისო გეოგრაფიულმა კავშირმა 23-ე საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის სიმპოზიუმის წინ, რომელიც მოსკოვში უნდა გაიხსნას. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა და ბულგარული სპეციალისტები, ავსტრალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კანადიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, საფრანგეთიდან, იაპონიიდან, სხვა ბევრი ზღვისპირა ქვეყნიდან ჩამოსული კოლეგები.

მიმოხილვითი მოხსენება — „მსოფლიოს ქვიშიანი ნაპირების ჩამორეცხვა და ზრდა“ გააკეთა საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ზღვის ნაპირების დინამიკის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ. პროფესორმა ე. ბერდმა (ავსტრალია), სანაპირო ზონის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის წყალქვეშა ხეობების გაკლენის შესახებ ილაპარაკა პროფესორმა ე. ზენკოვიჩმა (სსრ კავშირი), ხოლო გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. კაკნაძემ გააშუქა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს წყლის ნაკადულებში დინამიკური სისტემები და მათი დანალექების რაოდენობა.

მოხსენება — „წინასწარი შენიშვნები იაპონიის ქვიშიანი ნაპირების ბოლოდროინდელი ცვლილებების შესახებ“ გააკეთა დოქტორმა კ. კოკკემ (იაპონია). სიმპოზიუმზე წაკითხული იყო მთელი რიგი სხვა საინტერესო მოხსენებანი და ინფორმაციები.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოაწყვეს მთელი რიგი სამეცნიერო ექსკურსიები შავი ზღვის კავკასიის სანაპიროს გაყოლებით, ეწვივნენ სამეცნიერო ცენტრებს, რომლებშიც სწავლობენ ზღვის ნაპირების დინამიკას.

25 ივლისს სიმპოზიუმის მონაწილეებს დარბაზობა გაუმართეს საქართველოს გეოგრაფთა საზოგადოებამ და საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ.

• • •

ᲡᲘᲛᲞᲝᲖᲘᲣᲛᲘᲡ წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერები. მათ გააშუქეს კოლხეთის დაშრობისა და გარდაქმნის გეოგრაფიული ასპექტები, ტრანსკავკასიის მაგისტრალის გაკეთების პრობლემა. სპეციალისტთათვის დიდად საინტერესო გამოდგა ინფორმაციები იმ გეოგრაფიული კვლევის შესახებ, რომელსაც ეწევიან რუსეთის სამრეწველო ცენტრების, კერძოდ, თბილის-რუსთავის გარშემო დასავლების მწვანე ზონების დაპროექტების საჭიროებისათვის, აგრეთვე მთიან ქვეყანაში (საქართველოს სსრ რესპუბლიკის მაგალითზე) საწარმოო ძალების განთავსებისა და განლაგების ეკონომიურ-გეოგრაფიული საფუძვლების შესახებ.

სიმპოზიუმის მონაწილეებისათვის მოეწყო მთელი რიგი სამეცნიერო-გეოგრაფიული ექსკურსიები. გაიმართა დარბაზობანი საქართველოს გეოგრაფთა საზოგადოებასა და საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

საქინფორმის კორესპონდენტმა სოხოვა ზოგიერთ თვალსაჩინო საზღვარგარეთელ მეცნიერს, გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი სიმპოზიუმის შესახებ.

Მ. ᲤᲚᲘᲞᲝᲜᲘ (საფრანგეთი)—**ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ �გᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗᲝᲜ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲘᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ** — თბილისის სიმპოზიუმი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ შვიდ სიმპოზიუმს შორის, რომლებიც წინათ მოეწყო, — განხილული პრობლემების აქტუალობითა და გამართული საინტერესო სამეცნიერო დისკუსიების რაოდენობით. ყოველ ქვეყანაში შეიძლება საზღვარგარეთის გამოცდილების დანერგვა, საბჭოთა, კერძოდ, ქართველ მეცნიერთა გამოცდილება გამოყენებითი გეოგრაფიის დარგში, შევეცდებით გამოვიყენოთ საფრანგეთში.

Ლ. ᲡᲢᲠᲐᲨᲕᲘᲠᲘ (პოლონეთი) — **ᲚᲝᲛᲝᲜᲝᲡᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ** — თბილისის სიმპოზიუმი სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს დაეხმარა ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყვნენ, თუ რაოდენ საჭირო და სასარგებლოა ასეთი შეხვედრები გარშემოს გონიერული გამოყენებისა და დაცვის ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გადაჭრისათვის.

(საქინფორმი).

ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს იმ ხაზს, რომ უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, აამაღლოს მისი ეფექტიანობა, მთლიანად დააკმაყოფილოს მშრომელები სურსათით, ხოლო ნედლეულით მრეწველობა. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტას უწყობს ხელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“.

სამეურნეოთაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების საკითხებს მიეძღვნა სამეცნიერო პრაქტიკული სემინარი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა.

სემინარზე მიზეკული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მეცნიერები.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ვარძელაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ე. ჯაფარიძე.

მოხსენებანი გააკეთეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა პ. ყენენმა, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. კიკნაველიძემ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრების მოადგილეებმა თ. ჯაფარიძემ და რ. ჩხეიძემ, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ი. ხიხლოვმა, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორმა რ. ფანცხავამ.

აღინიშნა, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მრავალდარგოვანი ხასიათი, წარმოების სუსტი კონცენტრაცია აფერხებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინდუსტრიალიზაციის განვითარებას, აძნელებს დანახარჯების ეფექტიანობას, ხელს უშლის თვისებრივ ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ მეურნეობათა ეკონომიური მაჩვენებლების მკვეთრ გაუმჯობესებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართოდ დანერგვას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ფართო კოოპერირების ბაზაზე სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების მაგისტრალური მიმართულებაა.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში სამეურნეობათშორისო კოოპერაციის ბაზაზე სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გზით გადაიდგა მხოლოდ პირველი ნაბიჯები. ახლა ეს პროცესი უნდა მიეუსადაგოთ წარმოების დაგეგმვის, დაფინანსების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, მაროვის არსებულ წესს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის რეკომენდაციების შესაბამებლად შექმნილია რესპუბლიკური კომისია, რომელზეც დაიწყო სქმეებისა და გეგმების შედგენა და განსაზღვრავს მათი განხორციელების ძირითად პარამეტრებს. ანალოგიური კომისიები შეიქმნა რაიონებშიც. მათ ერთი თვის ვადაში უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი რაიონში ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის დამზადების მიზანშეწონილობის შესახებ. ამ მოსაზრებებს განიხილავს რესპუბლიკური კომისია და დაუბუტებს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად. სემინარზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ არსებული ბრიგადების, ფერმების, მეურნეობების მექანიკური გაერთიანება, თუ სერიოზულად არ იქნა შესწავლილი საკითხი, არ განხორციელდა სპეციალიზაცია და კონცენტრაცია ბუნებრივი და ეკონომიური პირობების გათვალისწინებით და არ მოხდა ძირეული ცვლილებანი წარმოების ორგანიზაციისა და ტექნოლოგიაში, ვერ აღმოფხვრის მრავალდარგოვანი მეურნეობისათვის დამახასიათებელ მთავარ ნაკლოვანებებს.

სემინარზე მოისმინეს რესპუბლიკური კომისიის სამუშაო ჯგუფის ანგარიში, რომელმაც საგარეჯოს რაიონში შეიტანილი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მუშაობის გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, შეიმუშავა სინიშნო გეგმა და განსაზღვრა ამ პროცესის ძირითადი მიმართულებანი სხვა რეგიონებისათვის.

სემინარის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესების გაღრმავებას მეცხოველეობაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ: ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲢᲐᲞᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ

ᲗᲘᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ იზრდება ახალი ხუთწლედის ვეგმების შესრულებისათვის გაწლილი შეჯიბრების ენთუზიაზმი და მატულობს ამ ხნის მანძილზე გაწეული მუშაობით დაგროვილი გამოცდილება. შესაძლებლობა გვაძლევს ერთგვარი ანალიზი გავუკეთოთ მას და შემდგომ უფრო პერსპექტიულად მის გამოყენებაზე ვიფიქროთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ისტორიულმა დადგენილებამ მომავლის დიდ წარმატებებზე ჩვენს ფიქრს და ოცნებას რეალური საფუძველი მისცა. ენთუზიაზმმა იმატა იმ დიდი შეფასების გამო, რაც ჩვენს საქმიანობას მისცეს უკანასკნელ წლების მანძილზე. და აი ამ გაწეული მუშაობის ღრმა ანალიზს, მომავალი ამოცანების სიღიადეს გავეცანით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მასალებში.

ამ ბევრ მნიშვნელოვან საკითხთა შორის, რომელიც პლენუმმა განიხილა, ერთ-ერთი საყურადღებო იყო საწარმოთა ხელახალი ტექნიკური შეიარაღების საკითხი, რომელიც მეათე ხუთწლედის მთავარ მოთხოვნას (ხარისხის გაუმჯობესებას და ეფექტიანობის ამაღლებას) მთლიანად მოიცავს. თვითონ გვსაჯეთ: თუ მოძველებული ტექნიკა ახლით არ შეიცვალა, ან მოდერნიზაცია არ ჩაუტარდა, წარმოუდგენელია შრომის ნაყოფიერების სასურველი ზრდა, პროდუქციის ხარისხის სრულყოფა.

დღეს ეს საკითხი მეცნიერული განსჯის სიმაღლეზე ავიდა, და გასაგებიც არის, რადგან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახლანდელი თავბრუდამხვევი ტემპი საწარმოების ტექნიკური გადახალისების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის შემუშავებას მოითხოვს. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პრინციპულად დაისვა საკითხი, რომ დროა ამ ფაქტის აღნიშვნიდან მის გეგმაზომიერ პრაქტიკულ შესრულებაზე გადავიდეთ.

ჩვენი საწარმოს კოლექტივს ამ მხრივ ერთგვარი გამოცდილება აქვს. ჩვენი ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობის განახლების ხუთწლიანი გეგმა ტექნიკოსთა და მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით არის დამუშავებული და პირველი პრაქტიკული ღონისძიებებიც უკვე განვახორციელეთ.

ამ გეგმის თანახმად ყველა არსებული მანქანა რეკონსტრუირებული და მოდერნიზებული უნდა იქნას, ზოგიერთი კი ახალი მაღალმწარმოებლური მანქანა-მოწყობილობით უნდა შეიცვალოს.

ეს გეგმა, რომელიც წარმოების ყველა რგოლს და პროცესს მოიცავს, მასშტაბური ღონისძიებაა და ხუთწლედში მისი განხორციელებისათვის 575 ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს, სამგზეროდ ჩვენი ზუსტი გაანგარიშებით, რომელიც აგრეთვე მეცნიერულად დასაბუთებულია, მოსალოდნელი ეფექტი ბევრად მეტი იქნება — 886 ათას მანეთს მიაღწევს.

რას ვითვალისწინებდით, როცა ამ გეგმას ვამუშავებდით? კერძოდ, იმას, რომ ჩვენი ქარხნის საპროექტო სიმძლავრე უკვე ათვისებულია და ამ ხუთ წლეულში საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა არ გაიზრდება, მაგრამ სამრეწველო პროდუქციის ზრდა 32 პროცენტით არის გათვალისწინებული.

რით უნდა მივაღწიოთ ამ ზრდას? ძირითადად შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე. საწარმოს ხელახალი ტექნიკური შეიარაღების ხუთწლიანი გეგმა ამისათვის კომპლექსურ ღონისძიებებს შეიცავს. არსებული მანქანების მოდერნიზაცია, რეკონსტრუქცია და ახლით შეცვლა ისე უნდა მოხდეს, რომ ხუთწლედის ყველა წელიწადს გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვება.

ამჟამად საწარმო 15 სახის ელექტროსაბოლოაციო მასალას უშვებს, შვიდ მათგანს ხარისხის ნიშანი აქვს. წლეულს მიზნად დაისახეთ პროდუქციის 25 პროცენტი ხარისხის ნიშნით დავამზადოთ, ხოლო ამ მხრივ განსაზღვრული მომავალი წლების გეგმით, რომელიც საწარმოს ხელახალი ტექნიკური შეიარაღების ხუთწლიანი გეგმის უშუალო ნაწილია, გამომშვებული პროდუქციის 70 პროცენტი ხარისხისნიშნიანი, ხოლო 30 პროცენტი პირველი კატეგორისა იქნება.

წლეულს უკვე რამდენიმე სიახლე განხორციელდა. ჯერ კიდევ პირველ კვარტალშივე ძველი ვერტიკალურ-საყელენსაშრობი მანქანა ორი ახალი ავტომატიზებული თანამედროვე მანქანებით შეეცვალეთ. ფეითული მათგანის მწარმოებლობა ძველთან შედარებით 1,5-ჯერ მეტია.

ვიცავთ ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვების ვალდებულების გრაფიკს — წლის პირველი ნახევარში გამოშვებული პროდუქციის მოცულობის 26,2 პროცენტი ხარისხის ნიშნით დავამზადეთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ლაშქრობა უკვე დაიწყო. თვითეული ელექტრი ეძებს ახალ რეზერვებს, რომ რაც შეიძლება მეტი და ეფექტური ღონისძიებებით უპასუხოს ღღეანდელ გაზრდილ მოთხოვნებს. ამ ლაშქრობის ავანგარდში არის და იქნება ჩვენი კოლექტივიც, რომელმაც მეათე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების გადიდების, ეფექტიანობის ამაღლების, ხარისხის გაუმჯობესების დიდი ვალდებულებები იკისრა და მათ წარმატებით ახორციელებს.

Გ. ᲪᲮᲐᲓᲐᲫᲔ,

თბილისის ელექტროიზოლატის ქარხნის მთავარი ინჟინერი, საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ



ᲐᲒᲔᲪᲘᲗᲡ წელია ხოხუმის ხელსაწყოთა ქარხანაში შრომობს ვალერი ცაბაძე. ამ წლების მანძილზე მან წარმატებით აითვისა რამდენიმე რთული პროფესია და ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს ამხანაგი.

კომკავშირელმა ვადამდე დაამთავრა წლის პირველი ნახევარი და ახლა ახალ მიჯნებს უტევს, ვალდებულება იკისრა ვადაზე გაცილებით ადრე შეასრულოს მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა. ვალერი ცაბაძე ღირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის დამკვრელის სამპატიო წოდებას.

შრომისმოყვარე, ინიციატიციანი ჭაბუკი საამქროს ახალგაზრდობამ კომკავშირულ ხელმძღვანელად აირჩია. რამდენი კარგი საქმე გააკეთეს მეინსტრუმენტეებმა მისი ინიციატივით! ახლა ისინი ახალგაზრდა მოსკოველ ავტომშენებელთა მაგალითისამებრ მუშაობენ დევიზით „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და შემოქმედება“.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ხოხუმის ხელსაწყოების ქარხნის მოწინავე მეხვიავი ვალერი ცაბაძე.

Ი. ᲮᲣᲮᲠᲘᲜᲬᲘᲜᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ ᲘᲗᲘᲥᲐᲛᲓᲐ: ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲗ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲜᲔᲡ.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲐᲮᲚᲘᲗ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜ ᲒᲔ�გᲛᲐᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲘᲖᲝᲚᲘᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ

ᲗᲘᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ იზრდება ახალი ხუთწლედის ვეგმების შესრულებისათვის გაწლილი შეჯიბრების ენთუზიაზმი და მატულობს ამ ხნის მანძილზე გაწეული მუშაობით დაგროვილი გამოცდილება. შესაძლებლობა გვაძლევს ერთგვარი ანალიზი გავუკეთოთ მას და შემდგომ უფრო პერსპექტიულად მის გამოყენებაზე ვიფიქროთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ისტორიულმა დადგენილებამ მომავლის დიდ წარმატებებზე ჩვენს ფიქრს და ოცნებას რეალური საფუძველი მისცა. ენთუზიაზმმა იმატა იმ დიდი შეფასების გამო, რაც ჩვენს საქმიანობას მისცეს უკანასკნელ წლების მანძილზე. და აი ამ გაწეული მუშაობის ღრმა ანალიზს, მომავალი ამოცანების სიღიადეს გავეცანით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მასალებში.

ამ ბევრ მნიშვნელოვან საკითხთა შორის, რომელიც პლენუმმა განიხილა, ერთ-ერთი საყურადღებო იყო საწარმოთა ხელახალი ტექნიკური შეიარაღების საკითხი, რომელიც მეათე ხუთწლედის მთავარ მოთხოვნას (ხარისხის გაუმჯობესებას და ეფექტიანობის ამაღლებას) მთლიანად მოიცავს. თვითონ გვსაჯეთ: თუ მოძველებული ტექნიკა ახლით არ შეიცვალა, ან მოდერნიზაცია არ ჩაუტარდა, წარმოუდგენელია შრომის ნაყოფიერების სასურველი ზრდა, პროდუქციის ხარისხის სრულყოფა.

დღეს ეს საკითხი მეცნიერული განსჯის სიმაღლეზე ავიდა, და გასაგებიც არის, რადგან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახლანდელი თავბრუდამხვევი ტემპი საწარმოების ტექნიკური გადახალისების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის შემუშავებას მოითხოვს. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პრინციპულად დაისვა საკითხი, რომ დროა ამ ფაქტის

**ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ: ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲢᲐᲞᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗ

ᲓᲦᲔᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲢᲘ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲘᲡᲐᲡᲐᲠᲒᲛᲔᲑᲚᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

ᲞᲠᲐᲰᲐ. ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ დედაქალაქში გაიხსნა მსუბუქი ავტომობილების გასაყიდი და ტექნიკური მომსახურების ახალი ცენტრი. ეს ქვეყანაში 21-ე ავტოცენტრია. მის დარბაზებს 58 ათასი კვადრატული მეტრი უკავიათ, აქ ყოველწლიურად გაიყიდება 15 ათასამდე მანქანა. საგულისხმოა, რომ პირველი გაყიდული მანქანა საბჭოთა „�sული“ იყო. მათ დიდი პოპულარობა მოიპოვეს მომთხოვნ ჩეხოსლოვაკელ ავტომოყვარულებს შორის თავიანთი საიმედოობით, სისწრაფითა და კომფორტით.

ახლა ქვეყანაში 300 ათასი საბჭოთა მსუბუქი ავტომანქანაა. წლის ბოლომდე მათი რიცხვი 40 ათასით გაიზრდება.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ. სოფლების სტენკისა და კოსტეშტის მახლობლად მდინარე პრუტის საბჭოთა და რუმინეთის ნაპირებზე გაჩაღებულია 30 ათასი კილოვატი სიმძლავრის მიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელსაც ერთად აგებენ საბჭოთა კავშირი და რუმინეთი. აქ შეიქმნება ავრეთვე დიდი წყალსაცავი, რამდენიმე კაშხალი, რომლებიც წყალდიდობისაგან დაიცავენ 70 ათას ჰექტარ მიწას. აქედან წყალს მიიღებენ მახლობელი დასახლებული პუნქტები და სამრეწველო საწარმოები, ეფექტიანად მოაწესრიგებენ მომავალში მდინარის წყლის რეჟიმს.

როგორც რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „სკინტეია“ წერს, ამ მიდროტექნიკურ კვანძს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნისათვის. იგი მოწმობს სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ნაყოფიერ და მჭიდრო თანამშრომლობას, რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მზარდი მეგობრობის გამოხატულებაა.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ, კულტურის პროპაგანდაში, მკითხველებისათვის მსოფლიოში მომხდარი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში დიდ როლს ახრულებენ საერთაშორისო პრესისა და წიგნის კლუბები. აქ შეგიძლიათ მიირთვათ ფინჯანი ყავა და გადაათვალიეროთ ყველა პოლონური, ავრეთვე ბევრი უცხოური უურნალ-გაზეთი (სურათზე). გარდა ამისა ეწყობა საინტერესო გამოფენები, იწვევენ ცნობილ ჟურნალისტებს და მსახიობებს მკითხველებთან შესახვედრად და სადისკუსიოდ.

ᲣᲜᲓᲠᲔᲗᲘ

ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ „ᲢᲘᲡᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲐᲪᲡᲔᲑᲘ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲗᲘ. ლენინგაროშში, ქიმიურ კომბინატ „ტისის“ გვერდით იზრდება უნგრეთის მეხუთე ხუთწლედის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამრეწველო ობიექტის — ახალი ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კორპუსები.

ახლა აქ ამონტაჟებენ ნავთობის უწყვეტი გადამუშავების ატმოსფერულ-ვაკუუმურ დანადგარებს. როგორც ბევრი სხვა მოწყობილობა, დანადგარის ელემენტები ნაწილ-ნაწილ ჩამოაქვთ საბჭოთა კავშირიდან. 84-დან 120-მდე მეტრი სიმაღლის ვაკუუმური სვეტების აწყობაზე უნგრელ მუშებთან და მემონტაჟეებთან ერთად შრომობენ საბჭოთა ინჟინრები, ტექნიკოსები და შემდეგ ექსპლუატაციას.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲢᲔᲑᲐ

სოფია. ბულგარეთის დედაქალაქის სამრეწველო საწარმოებმა წელს პირველ ექვს თვეში აწარმოეს 1975 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 10,8 პროცენტით მეტი პროდუქცია. პროდუქციის ყველაზე დიდი მატება მიღწეულია მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში. გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 27,3 ათას ტონაზე მეტი შავი ლითონების ნაგლინი, 142 ათასი მეტრი ბრეზუშოს ქსოვილი.

ამავე პერიოდში ხოფიელმა მშენებლებმა ჩაბარეს 3,557 ახალი ბინა.

ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲠᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ. (საკდესი). თანასწორუფლებიანობასა და სამართლიანობაზე დამყარებული საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობების განმტკიცება თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა, აღნიშნეს აქ გამართულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს 61-ე სესიაზე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებმა.

სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემების ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური ეკონომიური კომისიების როლის შესახებ დისკუსიის დროს საბჭოთა წარმომადგენელმა თქვა, რომ საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის პრობლემებისადმი საბჭოთა კავშირის პოზიცია კიდევ ერთხელ დადასტურდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციაზე.

მან კონფერენციაზე თქვა, რომ კომუნისტები მზად არიან ხელი შეუწყონ მსოფლიოში ახალი სამართლიანი ეკონომიური წყობის დამყარებას.

სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დელეგატების ყურადღება მიაქციეს აგრეთვე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების განცხადებას, რომელსაც შეიტანს ამ საბჭოს 30-ე სესიის კომუნიკე. განცხადებაში ნათქვამია, რომ სოციალისტური პრინციპების შესაბამისად ისინი ყოველნაირად შეუწყობენ ხელს იმ მიზნების მიღწევას, რომლებიც დასახულია ახალი საერთაშორისო ეკონომიური წყობის დამყარების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში და ამ საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა გადაწყვეტილებებში.

27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ



ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲙᲐᲠᲡᲚᲘᲡ ᲙᲝᲠᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ Კ. ᲢᲐᲜᲐᲙᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ. (საკდესი). იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კაკუეი ტანაკა დაამტიმრა ტოკიოს პროკურატურამ „ლოკჰიდის“ გამამაურებული საქმის გამო. მას ბრალად ედება უცხოეთის ვალუტისა და საგარეო ვაჭრობისადმი კონტროლის კანონის დარღვევა, იუწყება კიოდო ცუსინის საგაზეთო. ტანაკა პირველი დიდი პოლიტიკური მოღვაწეა, რომელიც დაამტიმრეს ამერიკის საავიაციო კონცერნ „ლოკჰიდის“ იმ საქმესთან დაკავშირებით, რომ ეს კონცერნი ქრთამებს აძლევდა იაპონიის ოფიციალურ მოღვაწეებს კონცერნის პროდუქციის იაპონიაში გასაღების მიზნით.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

X. ᲙᲐᲠᲢᲔᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატიული პარტიისაგან ჯ. კარტერმა პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები უნდა შემცირდეს. პენტაგონის ბიუჯეტი, როგორც ჯ. კარტერმა თქვა, შეიძლება შეიკვეცოს 5,7 მილიარდი დოლარით. ვფიქრობ, თქვა მან, რომ ჩვენ მეტისმეტად ბევრი გვაქვს სხვადასხვა სამხედრო ბაზა საზღვარგარეთ — დაახლოებით 2 ათასი, თან საზღვარგარეთის ზოგიერთ რაიონში მეტისმეტად ბევრი ჯარისკაცი გვყავს. ძალიან დიდ იმედს ვამყარებთ ახალი სახელობის იარაღზე ისეთ პირობებში, როცა მოთხოვნილება ამ იარაღზე არ შეესაბამება გრძელვადიანი საგარეო პოლიტიკის განხორციელების ამოცანებს.

მე არ ვუპირ მხარს ამჟამად „ბ-1“ ბომბდამშენის მშენებლობის იდეას, განაცხადა მან.

გაალშჭრა რა „ბ-1“-ის დაფინანსების წინაღმდეგ, პრეზიდენტობის პოსტზე დემოკრატების კანდიდატმა ამასთანავე მხარი დაუჭირა „ტრაიდენტის“ წყალქვეშა ატომური ხომების შექმნას. როცა უპასუხა კითხვაზე, თუ რა აზრისაა შეერთებული შტატების მიერ სტრატეგიული ან ტაქტიკური ატომური იარაღის საშუალებით პირველი დარტყმის შესაძლებლობის შესახებ, ჯ. კარტერმა თქვა, რომ იგი არ გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას, მხოლოდ ერთი პირობით, თუ შეიქმნება გარემოებანი, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიან შეერთებულ შტატებს ან მის არსებობას.

